ხელშეკრულების მნიშვნელოვანი პირობები
მოთხოვნამდე დეპოზიტის ხელშეკრულება N

[თარიღი]

საპროცენტო განაკვეთი:
▪საპროცენტო განაკვეთის ტიპი: ცვლადი
▪წლიური საპროცენტო განაკვეთი: -- % GEL; -- % USD; -- % EUR
▪ეფექტური საპროცენტო განაკვეთი: -- % GEL; -- % USD; -- % EUR

დეპოზიტის ეფექტური საპროცენტო განაკვეთის დათვლისას დაიშვება, რომ დეპოზიტი განთავსებულია 1 წლის ვადით, ყოველი დღის ბოლოს მიმდინარე ანგარიშზე არსებული ნაშთი შეადგენს [1000 (ერთი ათასი)] [10 000 (ათი ათასი)] ერთეულს და საპროცენტო სარგებელი ჩაირიცხება თვეში ერთხელ - თვის ბოლო რიცხვში.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთი ითვლება დაშვებით, რომ ხელშეკრულების დადების დროს მოქმედი საპროცენტო განაკვეთი მუდმივია და უტოლდება საწყის საპროცენტო განაკვეთს.

ფინანსური ხარჯები:
▪ მიკრობანკის გარეთ თანხის გადარიცხვის საკომისიო: -- GEL/USD/EUR

სხვა სახელშეკრულებო ინფორმაცია:
▪დეპოზიტის თანხა: მიმდინარე ანგარიშზე არსებული ნაშთი
▪ვადა: უვადო
▪თანხა, რომელსაც ერიცხება საპროცენტო სარგებელი: საპროცენტო სარგებელი, ყოველდღიურად, ერიცხება დღის ბოლოს მიმდინარე ანგარიშზე არსებულ ნაშთს

▪მომხმარებელი უფლებამოსილია, ნებისმიერ დროს, ვადამდე შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულება.

▪ხელშეკრულების მნიშვნელოვანი პირობების ცვლილების შემთხვევაში, მომხმარებლის ინფორმირება მოხდება ცვლილებამდე არანაკლებ 2 (ორი) თვით ადრე, ხოლო სხვა საფინანსო პროდუქტის ფასის ზრდის შემთხვევაში – არანაკლებ 1 (ერთი) თვით ადრე, წინასწარი შეტყობინების გზით, წერილობით, ელექტრონული ფოსტის/ინტერნეტბანკის/მოკლე ტექსტური შეტყობინების მეშვეობით.

უცხოური ვალუტით განთავსებული დეპოზიტი მომხმარებელს მნიშვნელოვანი რისკის წინაშე აყენებს! ვალუტის კურსის ცვლილებამ შესაძლოა ლარით გამოხატული სარგებელი მნიშვნელოვნად შეამციროს!
ლარის შესაძლო 15%-იანი წლიური გამყარების შემთხვევაში გაანგარიშებული ეფექტური საპროცენტო განაკვეთი იქნება წლიური -- % USD; -- % EUR.

გთხოვთ, გაითვალისწინოთ, რომ:
▪თქვენი დეპოზიტი დაზღვეულია „დეპოზიტების დაზღვევის სისტემის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე შექმნილი დეპოზიტების დაზღვევის სისტემის ფარგლებში.

▪მომხმარებელს უფლება აქვს წარადგინოს პრეტენზია სს მიკრობანკი „ემბისის“ ნებისმიერ სერვის ცენტრში, როგორც ზეპირი, ასევე თავისუფალი წერილობითი, სტანდარტული წერილობითი ან ელექტრონული ფორმით ვებგვერდზე https://mbcbank.ge/ ან/და ელ. ფოსტაზე complaint@mbc.com.ge.

გაეცანით მომხმარებელთათვის სასარგებლო ინფორმაციას საქართველოს ეროვნული ბანკის ვებგვერდსა – http://nbg.gov.ge/cp და ცხელ ხაზზე – 032 2 406 406.

მოთხოვნამდე დეპოზიტის ხელშეკრულება N

ქ. თბილისი [თარიღი]

1. ხელშეკრულების მხარეები:

1.1. მიკრობანკი:	სახელწოდება:	სს მიკრობანკი „ემბისი“ (შემდგომში „მიკრობანკი“)
	იურიდიული მისამართი:	ქ. თბილისი, ქეთევან დედოფლის გამზირი, N68, სართული N1, საოფისე ფართი N2
	წარმომადგენელი:	
	ტელეფონი:	032 2-50-50-02
	ელ. ფოსტა:	Info@mbc.com.ge
	საიდენტიფიკაციო კოდი:	404967078
	საზედამხედველო ორგანოს დასახელება და მისამართი:	საქართველოს ეროვნული ბანკი 0114 თბილისი, საქართველო, სანაპიროს ქუჩა№2
	მიკრობანკის საქმიანობის ლიცენზიის ნომერი:	472
1.2.დეპოზიტორი:	სახელი, გვარი/სახელწოდება:	
	დაბადების/რეგისტრაციის თარიღი:	
	ფაქტიური მისამართი:	
	რეგისტრაციის/იურიდიული მისამართი:	
	პასპ/პირად.მოწმობის N/საიდენტიფიკაციო ნომერი:	
	პირადი ნომერი:	
	ტელეფონი:	
	ელ. ფოსტა:	
	წარმომადგენელი:	

2. ხელშეკრულების საგანი

2.1. მიკრობანკი, წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული წესებისა და პირობების შესაბამისად, უზრუნველყოფს დეპოზიტორის მიკრობანკში გახსნილ მიმდინარე ანგარიშზე სარგებლის (პროცენტის) დარიცხვას.

3. ძირითადი პირობები

3.1. მიმდინარე ანგარიშზე სარგებლის დარიცხვის დაწყების თარიღი:	
3.2. დეპოზიტის თანხა:	მიმდინარე ანგარიშზე არსებული ნაშთი
3.3. თანხა, რომელსაც ერიცხება სარგებელი:	მიმდინარე ანგარიშზე ყოველი დღის ბოლოს არსებული ნაშთი
3.4. ვადა:	უვადო
3.5. საპროცენტო განაკვეთის ტიპი:	ცვლადი
3.6. წლიური საპროცენტო განაკვეთი:	-- % GEL; -- % USD; -- % EUR

3.7. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი:	-- % GEL; -- % USD; -- % EUR
3.8. ანგარიშის ნომერი, რომელზეც ჩაირიცხება საპროცენტო სარგებელი (შემდგომში „მიმდინარე ანგარიში“):	
3.9. ანგარიშის ვალუტა:	მულტისავალუტო (GEL, USD, EUR)
3.10. მიკრობანკის გარეთ თანხის გადარიცხვის საკომისიო:	-- -- GEL/USD/EUR
3.11. თანხისა და მასზე დარიცხული სარგებლის მიღების წესი:	ნებისმიერ დროს, შეუზღუდავად
3.12. საპროცენტო სარგებლის დარიცხვის წესი:	საპროცენტო სარგებლის დარიცხვა იწყება მიმდინარე ანგარიშზე თანხის ჩარიცხვის მომდევნო სამუშაო დღიდან და ერიცხება მიმდინარე ანგარიშზე ყოველი დღის ბოლოს არსებულ ნაშთს
3.13. საპროცენტო სარგებლის მიღების პერიოდულობა:	ყოველი კალენდარული თვის ბოლო რიცხვი
3.14. პროლონგაციის (ვადის გაგრძელების) პირობა:	პროლონგაციის (ვადის გაგრძელების) უფლების გარეშე

4. სარგებლობის პირობები და საპროცენტო სარგებლის დარიცხვის წესი

4.1. წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევის მიზნებისთვის, გამოიყენება დეპოზიტორის მიკრობანკში გახსნილი მიმდინარე ანგარიში, ხოლო ასეთის არარსებობის შემთხვევაში, დეპოზიტორს მიკრობანკში ეხსნება მიმდინარე ანგარიში.

4.2. წინამდებარე ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში, დეპოზიტორის მიერ საპროცენტო სარგებლის მიღების შემდგომ, მიმდინარე ანგარიშზე სარგებლის დარიცხვა წყდება.

4.3. საპროცენტო სარგებლის დარიცხვა იწყება თანხის მიმდინარე ანგარიშზე ჩარიცხვის დღის მომდევნო სამუშაო დღიდან და გრძელდება წინამდებარე ხელშეკრულების შეწყვეტამდე ან მიმდინარე ანგარიშის დახურვამდე.

4.4. საპროცენტო სარგებელი იანგარიშება მიმდინარე ანგარიშის სარგებლობის ფაქტობრივი დღეების შესაბამისად, წელიწადში 365 (სამას სამოცდახუთი) დღეზე გაანგარიშებით.

4.5. მიკრობანკი უფლებამოსილია ხელშეკრულების მოქმედების ნებისმიერ ეტაპზე, საკუთარი შეხედულებისამებრ, ცალმხრივად (დეპოზიტორის დამატებითი თანხმობის გარეშე) შეცვალოს ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობები, მათ შორის, საპროცენტო განაკვეთი, შემდეგი გარემოებებიდან ერთ-ერთის ან რამდენიმეს არსებობისას:

4.5.1. კანონმდებლობაში, რაც შეზღუდვის გარეშე მოიცავს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გაცემულ მითითებებს, განხორციელებული ცვლილებების გამო, მიკრობანკს დაეკისრება ვალდებულებ(ებ)ი (როგორც ფინანსური, ასევე არაფინანსური), რის გამოც მიკრობანკისთვის დეპოზიტზე ხელშეკრულებით განსაზღვრული საპროცენტო სარგებლის დარიცხვა დაკავშირებული იქნება დამატებით ხარჯებთან;

4.5.2. განხორციელდება ეკონომიკური ფაქტორების იმგვარი ცვლილება, რომ დეპოზიტზე ხელშეკრულებით განსაზღვრული საპროცენტო სარგებლის დარიცხვამ შესაძლოა საფრთხე შეუქმნას მიკრობანკის ფინანსურ სტაბილურობას;

4.5.3. მიკრობანკის ან/და დეპოზიტორის ფინანსური მაჩვენებლების გათვალისწინებით, მიკრობანკისთვის არ არის ფინანსურად მომგებიანი დეპოზიტზე ხელშეკრულებით გათვალისწინებული საპროცენტო სარგებლის დარიცხვა;

4.5.4. დეპოზიტორის მიერ მიკრობანკის საბანკო პროდუქტებით/მომსახურებით სარგებლობის ანალიზის საფუძველზე გამოიკვეთა, რომ დეპოზიტორის მიერ მიკრობანკის საბანკო პროდუქტებით/მომსახურებით სარგებლობის ინტენსივობა არ არის ხელშეკრულებით გათვალისწინებული საპროცენტო სარგებლის თანაზომიერი;

4.5.5. მიკრობანკის მიმდინარე პოლიტიკის, შიდა დოკუმენტების, პროცესების ან/და ბიზნეს ინტერესების ცვლილების გამო, აუცილებელია ხელშეკრულების პირობების (მათ შორის, საპროცენტო განაკვეთის) ცვლილება.

5. განცხადებები და გარანტიები
5.1. წინამდებარე ხელშეკრულებაზე ხელმოწერით დეპოზიტორი ადასტურებს, რომ:
5.1.1 გაეცნო და ეთანხმება მიკრობანკის ვებგვერდზე (https://mbcbank.ge/) განთავსებულ „საბანკო ოპერაციების წარმოების შესახებ“ ხელშეკრულებას;
5.1.2 აქვს წინამდებარე ხელშეკრულების დადების და შესრულებისთვის საჭირო უფლებაუნარიანობა;
5.1.3 არ მონაწილეობს არცერთ სასამართლო პროცესში (მოსარჩელის, მოპასუხის ან მესამე პირის სახით), რითაც საფრთხე ექმნება დეპოზიტორის ვალდებულებების შესრულებას, მის ქონებას ან/და აქტივებს;
5.1.4 ამ ხელშეკრულებას აფორმებს მხოლოდ საკუთარი საჭიროებისთვის და არ მოქმედებს სხვა (მესამე) პირის დავალებით ან სასარგებლოდ, არ აქვს ურთიერთობა ფიქტიურ ბანკთან („შელ ბანკთან“) და ამ ხელშეკრულებაში აღწერილი გარიგება არ არის საეჭვო, რაც ნიშნავს იმას, რომ ის არ არის უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის მიზნით გაფორმებული და ქონება (მათ შორის, ფულადი სახსრები), რომლის საფუძველზეც დაიდო და/ან შესრულდება ეს გარიგება, არ არის მოპოვებული/წარმოშობილი დანაშაულებრივი საქმიანობიდან;
5.1.5 წინამდებარე ხელშეკრულების დადებისას, იგი არ იმყოფება შეცდომის, მოტყუების, მის წინააღმდეგ გამოყენებული ძალადობის ან მუქარის გავლენის ქვეშ.
5.2. დეპოზიტორის აღნიშნული განცხადებები და გარანტიები ძალაშია მხარეთა მიერ ხელშეკრულების საფუძველზე ნაკისრი ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულებამდე, მიუხედავად ხელშეკრულების შეწყვეტისა. ნებისმიერი ზემოაღნიშნული დებულების დარღვევა გამოიწვევს მიმდინარე ანგარიშით სარგებლობის უფლების შეზღუდვას/შეწყვეტას ან/და წინამდებარე ხელშეკრულების შეწყვეტას.

6. ხელშეკრულების მოქმედება და შეწყვეტა
6.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის/დადების მომენტიდან და მოქმედებს მხარეთა მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულებამდე. ამასთან, ხელშეკრულება აგრეთვე შეიძლება დაიდოს, დეპოზიტორთან გაფორმებული „საბანკო ოპერაციების წარმოების შესახებ“ ხელშეკრულებით განსაზღვრული დისტანციური საბანკო მომსახურების საშუალებით გამოხატული თანხმობით.
6.2. ხელშეკრულებით ან/და კანონმდებლობით დადგენილ შემთხვევებში და პირობებით შესაძლებელია ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტა:
6.2.1 მიკრობანკის მიერ, დეპოზიტორის მხრიდან ხელშეკრულებით განსაზღვრული უფლება-მოვალეობების სრულად და ჯეროვნად განხორციელებამდე/შესრულებამდე, თუ მომხმარებელი სრულად და ჯეროვნად არ შეასრულებს ხელშეკრულებით ან/და მიკრობანკთან დადებული ნებისმიერი სხვა ხელშეკრულებით განსაზღვრულ ნებისმიერ ვალდებულებას (მათ შორის, ფულად ვალდებულებას, განცხადებებს და გარანტიებს, ნებისმიერ პირობას ან/და სხვა ვალდებულებას);
6.2.2 მხარეთა შეთანხმებით;
6.2.3 ხელშეკრულებით ან/და კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.
6.3. მიკრობანკის ინიციატივით ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში, მიმდინარე ანგარიშზე არსებულ ნაშთს საპროცენტო სარგებელი დაერიცხება მიმდინარე ანგარიშით სარგებლობის ფაქტობრივი დღეების შესაბამისად.
6.4. ხელშეკრულების შეწყვეტითა და დეპოზიტორის მიერ საპროცენტო სარგებლის მიღებით, მიმდინარე ანგარიშზე პროცენტის დარიცხვა წყდება.
6.5. ხელშეკრულების შეწყვეტა არ ათავისუფლებს დეპოზიტორს/მიკრობანკს ხელშეკრულებით ნაკისრი ან/და კანონმდებლობით დადგენილი ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულებისაგან.

7. პრეტენზიები და დავები
7.1. დეპოზიტორს უფლება აქვს წარადგინოს პრეტენზია სს მიკრობანკი „ემბისის“ ნებისმიერ სერვის ცენტრში, როგორც ზეპირი, ასევე თავისუფალი წერილობითი, სტანდარტული წერილობითი ან ელექტრონული ფორმით, ვებ-გვერდზე https://mbcbank.ge/ ან/და ელ. ფოსტაზე complaint@mbc.com.ge. პრეტენზიის განხილვასთან დაკავშირებით და შესაბამისი პროცედურების შესახებ ინფორმაციის მოძიება შესაძლებელია სატელეფონო კონტაქტის მეშვეობით, ნომერზე (032) 2505002, ან უშუალოდ მიკრობანკის შესაბამის სერვის ცენტრში. დეპოზიტორისგან მიღებულ პრეტენზიაზე პასუხის გაცემის მაქსიმალური ვადაა 30 (ოცდაათი) კალენდარული დღე.
7.2. ნებისმიერი დავა, წარმოშობილი წინამდებარე ხელშეკრულებიდან ან მასთან დაკავშირებით, მათ შორის ნებისმიერი საკითხი ხელშეკრულების ან/და საარბიტრაჟო შეთანხმების არსებობის, ნამდვილობასა და შეწყვეტის შესახებ განხილვისა და საბოლოო გადაწყვეტილების მიღების მიზნით, უნდა გადაეცეს მუდმივმოქმედ არბიტრაჟს „დავების განმხილველ ცენტრს“ DRC-ს (ს/კ 204547348); მის.: ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას 71, სართ.2, ოფისი 11. ვებგვერდი: WWW.DRC.GE. ამასთან, მხარეთა შეთანხმებით, არბიტრაჟი დავას განიხილავს ზეპირი მოსმენის გარეშე, მიუხედავად სასარჩელო მოთხოვნის (დავის საგნის) ღირებულებისა. მხარეებს შორის, ასევე „დავების განმხილველ ცენტრს“ DRC-ს შორის კომუნიკაცია შესაძლებელია განხორციელდეს ელექტრონული ფორმით, ამ შემთხვევაში შეტყობინება განხორციელებულად ჩაითვლება, თუ იგი მხარეს ჩაბარდა ელ. ფოსტის მეშვეობით. მხარეები თანხმობას აცხადებენ, რომ ხელშეკრულებით განსაზღვრულ ელ. ფოსტის მისამართზე, ელ. ფოსტის საშუალებით, გაგზავნილი შეტყობინება მათთვის ჩაბარებულად ითვლება და აღნიშნულთან დაკავშირებით რაიმე სახის პრეტენზია არ ექნებათ.

8. დასკვნითი დებულებები
8.1. მხარეები ადასტურებენ, რომ ხელშეკრულება შედგენილია მათთვის გასაგებ ენაზე, ყველა პირობა მათთვის მკაფიო და გასაგებია.
8.2. ერთ-ერთი მხარის მხრიდან ხელშეკრულების ან/და კანონმდებლობის დარღვევასთან დაკავშირებით მეორე მხარის მიერ მისთვის მინიჭებული უფლებების გამოუყენებლობა არ გავრცელდება ხელშეკრულების ან/და კანონმდებლობის ნებისმიერ შემდგომ დარღვევაზე.
8.3. ხელშეკრულების რომელიმე მუხლის, პუნქტის ან/და ქვეპუნქტის ბათილობა არ გამოიწვევს მთლიანად ხელშეკრულების ან/და მისი სხვა მუხლ(ებ)ის, პუნქტ(ებ)ის ან/და ქვეპუნქტ(ებ)ის ბათილობას. ბათილი დებულების ნაცვლად, გამოიყენება იმგვარი დებულება, რომლითაც უფრო ადვილად მიიღწევა ხელშეკრულებით (მათ შორის, ბათილი დებულებით) გათვალისწინებული მიზანი.
8.4. წინამდებარე ხელშეკრულების დებულებები ვრცელდება და შესასრულებლად სავალდებულოა მხარეთა უფლებამონაცვლეების, მემკვიდრეებისათვის/სამართალმემკვიდრეებისათვის.
8.5. მიკრობანკის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე, დეპოზიტორს უფლება არა აქვს რაიმე ფორმით განკარგოს (მათ შორის და არა მხოლოდ, გაასხვისოს, გირავნობით დატვირთოს) ხელშეკრულების საფუძველზე მისთვის მინიჭებული ნებისმიერი უფლება ან/და მესამე პირს გადასცეს მასზე ხელშეკრულებით ნაკისრი ნებისმიერი ვალდებულება, აღნიშნული წესის დარღვევით განხორციელებული ქმედება ან/და გარიგება ბათილია და არ წარმოშობს სამართლებრივ შედეგებს, გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ამასთან, წინამდებარე დებულება არ გულისხმობს დათქმას, რომ დეპოზიტორმა პირადად უნდა შეასრულოს ვალდებულებები და არ გამორიცხავს მიკრობანკის უფლებას მიიღოს მესამე პირისაგან შემოთავაზებული შესრულება.
8.6. დეპოზიტორისთვის ცნობილია, რომ „დეპოზიტების დაზღვევის სისტემის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, 2026 წლის პირველი აპრილიდან, ყველა დეპოზიტორის დეპოზიტზე/ანგარიშზე არსებული თანხა, დეპოზიტების/ანგარიშების რაოდენობის მიუხედავად, თითოეულ კომერციულ ბანკში და მიკრობანკში დაზღვეულია და დეპოზიტების დაზღვევის სააგენტოს მიერ ანაზღაურდება 50,000 ლარის ფარგლებში. კომერციულ ბანკში და მიკრობანკში ყველა დეპოზიტორის ყველა ანგარიშზე არსებული თანხა ავტომატურად დაზღვეულია დამატებითი საზღაურის გარეშე. დამატებითი ინფორმაცია იხილეთ დეპოზიტების დაზღვევის სააგენტოს ვებგვერდზე: www.diagency.ge.

8.6.1. წინამდებარე ხელშეკრულების 8.6 პუნქტით გათვალისწინებული, დეპოზიტორისთვის ასანაზღაურებელი თანხის მაქსიმალური ოდენობა განისაზღვრება სსიპ „დეპოზიტების დაზღვევის სააგენტოს“ უფროსის 2025 წლის 22 სექტემბრის N 33/5 ბრძანებით - „დეპოზიტორისთვის ასანაზღაურებელი დაზღვეული დეპოზიტის ანაზღაურებადი თანხის მაქსიმალური ოდენობის - ზღვრის განსაზღვრის თაობაზე“ (შემდგომში „დეპოზიტების დაზღვევის სააგენტოს უფროსის ბრძანება“). წინამდებარე ხელშეკრულების დებულებებსა და „დეპოზიტების დაზღვევის სააგენტოს“ უფროსის ბრძანებას შორის წინააღმდეგობის არსებობის შემთხვევაში, უპირატესობა ამ უკანასკნელს ენიჭება და წინამდებარე ხელშეკრულებაზე ავტომატურად, მხარეთა დამატებითი შეთანხმების გარეშე, გავრცელდება გაზრდილი ზღვრის ოდენობა.
8.7. წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე. იმ შემთხვევაში თუ, ხელშეკრულების დამატებითი ვერსია შედგენილია სხვა ენაზეც, ხელშეკრულების სხვადასხვა ენებზე შედგენილ ვერსიებს შორის შეუსაბამობის აღმოჩენის შემთხვევაში, უპირატესობა მიენიჭება ქართულ ენაზე შედგენილი ხელშეკრულების ვერსიას. ამასთან, ხელშეკრულების ფარგლებში მხარეთა შორის კომუნიკაცია წარმოებს იმ ენაზე (ენებზე), რომელ(ებ)ზეც შედგენილია წინამდებარე ხელშეკრულება.
8.8. წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, რომელთაგან თითო იდენტური ეგზემპლარი გადაეცემათ მხარეებს.

დეპოზიტორი/წარმომადგენელი _____
(სახელი და გვარი სრულად და გარკვევით)

მიკრობანკი _____
(სახელი და გვარი სრულად და გარკვევით)